

2026 წლის ივლისი

გრაფიკული დიზაინერი: Louis Nye

საინფორმაციო ფურცელი

პუტინის ომის დაფინანსება — საქართველო

არსებობს ეჭვი, რომ საქართველოს პორტები არღვევენ რუსულ ნავთობზე დაწესებულ სანქციებს

ევროკავშირის მიერ რუსული ნავთობპროდუქტების აკრძალვიდან სამი წლის შემდეგ, საქართველოს შავიზღვისპირა პორტებმა - ყულევმა და ბათუმმა - სანქციების დამწესებელ ქვეყნებში 1.2 მილიარდი ევროს ღირებულების ისეთი გადამუშავებული საწვავი გაგზავნეს, რომელშიც, სავარაუდოდ, რუსული ნავთობიც შედის.

შესავალი

ევროკავშირის სანქციების მე-18 პაკეტი, რომელზეც შეთანხმებას 2025 წლის ივლისში მიაღწიეს, ითვალისწინებს რუსული ნედლი ნავთობიდან (HS 2709) წარმოებული ნავთობპროდუქტების (HS სავაჭრო კოდი 2710) იმპორტის აკრძალვას. თუმცა, ეს აკრძალვა არ ეხება გადამუშავებულ რუსულ ნავთობპროდუქტებს, რომელიც შედის სანქციების მიღმა მყოფი ქვეყნების პორტებში და შერევის, გადამუშავების ან რეექსპორტის გზით ხვდება ევროკავშირსა და სხვა სანქციების დამწესებელ ქვეყნებში.

საქართველომ, როგორც ჩანს, ორი გზით ისარგებლა სანქციების უზრუნველყოფისა და ხარვეზების ნაკლებობით. ყულევის ახლადამოქმედებულმა ნავთობგადამამუშავებელმა ქარხანამ, რომელიც განლაგებულია ყულევის ნავთობის ტერმინალისა და პორტის მახლობლად და მათთან დაკავშირებულია მილსადენით - ისარგებლა გადამუშავების შესახებ არსებული სანქციების ხარვეზით: ნედლი ნავთობის 100% რუსეთიდან შემოაქვს, ხოლო ნავთობპროდუქტებს, ყულევის პორტის მეშვეობით, ევროკავშირსა და აშშ-ში გზავნის. ყულევის გადამამუშავებელმა ქარხანამ, როგორც ჩანს, დაარღვია ევროკავშირის რეგლამენტის 3ma მუხლი (საბჭოს რეგლამენტი (EU) No 833/2014), რომელიც 2026 წლის 21 იანვრის შემდეგ კრძალავს ევროკავშირის ქვეყნებში რუსული ნედლი ნავთობიდან მიღებული ნავთობპროდუქტების იმპორტს. ამასთანავე, საქართველოს ბათუმის ნავთობის ტერმინალი და პორტი, როგორც ჩანს, ახდენს რუსული ნავთობპროდუქტების შერევასა და წარმომავლობის ცვლილებას სანქციების დამწესებელი ქვეყნებში მის გაყიდვამდე, რითაც არღვევს ევროკავშირის და გაერთიანებული სამეფოს სანქციებს.

ორივე პორტი (ყულევი და ბათუმი), განლაგებული შავი ზღვის სანაპიროზე, დაკავშირებულია სარკინიგზო ქსელთან, რაც განსაკუთრებულად ართულებს სანქციების დამწესებელი ქვეყნებისთვის განკუთვნილ პროდუქტში რუსული ნავთობის წილის კონტროლს. სახმელეთო კავშირები და მარშრუტები ნავთობის ნაკადების მონიტორინგში გამოწვევაა და სანქციების სისტემის გვერდის ავლას უწყობს ხელს.

ორივე პორტს, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი რაოდენობით შემოაქვს რუსული ნავთობი და ექსპორტზე გზავნის ტვირთს, რომელიც როგორც

ევროკავშირის, ასევე გაერთიანებული სამეფოს სანქციებს არღვევს.

ძირითადი დასკვნები



ნახაზი 1 — ყულევის პორტი

ყულევი

ყულევის გადამამუშავებელი ქარხანა მდებარეობს საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე, ყულევის პორტის მახლობლად და პორტთან მილსადენითაა დაკავშირებული. ცნობების თანახმად, ქარხანა გახსნის დღიდან (2025 წლის ოქტომბერი) მხოლოდ რუსულ ნედლ ნავთობს იყენებს.

- ყულევის გადამამუშავებელი ქარხანა მდებარეობს საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე, ყულევის პორტის მახლობლად და პორტთან მილსადენითაა დაკავშირებული. ცნობების თანახმად, ქარხანა გახსნის დღიდან (2025 წლის ოქტომბერი) მხოლოდ რუსულ ნედლ ნავთობს იყენებს. ● ულევის გადამამუშავებელმა ქარხანამ 2025 წლის 6 ოქტომბერს რუსული ნავთობკომპანია "რუსნეფტისგან" მიიღო პირველი ტვირთი - 105 340 ტონა ციმბირული მსუბუქი ხარისხის ნედლი ნავთობი. გემი Kayseri (IMO 9292199), რომელმაც ეს ტვირთი საქართველოში რუსეთის ნოვორასიისკის პორტიდან ჩამოიტანა, ევროკავშირმა სამ კვირაზე ნაკლებ ვადაში დაასანქცირა.
- 2025 წლის 6 ოქტომბრიდან 2026 წლის მაისის ბოლომდე, ყულევის პორტში გადმოიტვირთა რუსული ნედლი ნავთობით დატვირთული 6 ტანკერი - პორტს სხვა რომელიმე ქვეყნიდან ნედლი ნავთობის მიწოდების შემთხვევა არ აღურიცხავს.
- სანქციების დაწესებიდან სამ წელში ყულევის პორტმა ევროკავშირსა და აშშ-ში გაგზავნა 1.46 მლნ ტონა ნავთობპროდუქტი, ჯამში 811 მლნ ევროს ღირებულების. ტვირთის მნიშვნელოვანი ნაწილი, სავარაუდოდ, მახლობლად მდებარე ყულევის გადამამუშავებელ ქარხანაში აწარმოეს.
- ● 2026 წლის 26 იანვარს, ევროკავშირის მიერ რუსული ნედლი ნავთობიდან მიღებული ნავთობპროდუქტების აკრძალვის ამოქმედებიდან ხუთი დღის შემდეგ, ყულევის პორტმა ბარსელონის ესპანურ პორტში გაგზავნა, თითქმის, 6 000 ტონა PyGas ანუ პიროლიზის ბენზინი (წიაღისეული საწვავის გადამუშავების ქვეპროდუქტი, რომელიც კარგად ერევა გაზოლინს). მეორე მიწოდება, რომელიც სავარაუდოდ არღვევს ევროკავშირის სანქციებს,

შედგებოდა 2 715 ტონა ულტრადაბალგოგირდიანი დიზელისგან (ULSD) - გაიგზავნა 2026 წლის 14 მარტს და ბულგარეთის პორტ ბურგასში 17 მარტს ჩავიდა.

- 2026 წლის 30 მარტს, ევროკავშირის სანქციების მე-20 პაკეტის საწყის პროექტში ყულევის პორტის შეტანის შემდეგ, ყულევის გადამამუშავებელი ქარხნის მფლობელი კომპანიის გენერალურმა დირექტორმა განაცხადა, რომ ქარხანას თურქმენულ და ყაზახურ ნედლ ნავთობზე გადასვლა სურდა. თუმცა, კონკრეტული ვადები დასახელებული არ ყოფილა. ამ განცხადების შემდეგ, 14 მაისს ყულევის პორტში კვლავ გადმოიტვირთა რუსული ნედლი ნავთობის კიდევ ერთი პარტია.



ნახაზი 2 — ბათუმის პორტი

ბათუმი

ამასობაში, შავი ზღვის სანაპიროზე, ყულევიდან, თითქმის, 100 კილომეტრში მდებარეობს ბათუმის პორტი და ნავთობის ტერმინალი.

- ევროკავშირის მიერ რუსული ნავთობპროდუქტების აკრძალვის პირველ სამ წელიწადში (2023 წლის 5 თებერვლიდან 2026 წლის 5 თებერვლამდე), ბათუმის პორტმა საზღვაო გზით მიღებული დიზელის 79% რუსეთიდან შემოიტანა - 204 000 ტონა, 147 მლნ ევროს ღირებულებით. ამავე პერიოდში არარუსული დიზელის საზღვაო იმპორტი შეადგენდა 53 000 ტონას.
- იმავე პერიოდში, ბათუმის პორტიდან ევროკავშირსა და გაერთიანებულ სამეფოში გაიგზავნა 508 000 ტონა დიზელი, 339 მლნ ევროს ღირებულების.
- ევროკავშირის მიერ რუსული ნავთობპროდუქტების აკრძალვიდან სამ წლიან პერიოდში, ბათუმის პორტმა გაერთიანებულ სამეფოსა და ევროკავშირში ცხრაჯერ მეტი მოცულობის დიზელი გაგზავნა, ვიდრე არარუსული მომწოდებლებისგან საზღვაო გზით მიღებული ტვირთი იყო - ეს კითხვებს ბადებს ექსპორტირებული საწვავის ნამდვილი წარმოშობის შესახებ.
- ევროკავშირის მიერ რუსული ნავთობპროდუქტების იმპორტის აკრძალვიდან სამი წლის განმავლობაში, ბათუმის პორტის დიზელის ექსპორტის 90% განხორციელდა ევროკავშირსა და გაერთიანებულ სამეფოში.
- გაერთიანებული სამეფო არის ბათუმის პორტიდან დიზელის უმსხვილესი იმპორტიორი - ევროკავშირის მიერ დაწესებული აკრძალვის შემდეგ ბათუმიდან გაგზავნილი ტვირთის 44% მან მიიღო. ნიდერლანდები, მეორე უმსხვილესი იმპორტიორი, მიიღო

ბათუმის პორტიდან გასული დიზელის 20%, დანიამ - 19%, შვედეთმა - 8%, ბელგიამ - 5% და იტალიამ 2%.

- არსებული მილსადენი და სარკინიგზო ინფრასტრუქტურა იძლევა ყულევის გადამამუშავებელი ქარხნიდან ბათუმის პორტამდე ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირების შესაძლებლობას. მონიტორინგს კიდევ უფრო ართულებს ის, რომ ყულევის პორტმა ევროკავშირის მიერ რუსული ნავთობპროდუქტების აკრძალვიდან სამი წლის განმავლობაში, საზღვაო გზით, 23 000 ტონა (15 მლნ ევრო) დიზელი მიიღო რუსეთიდან, რომლის საბოლოო დანიშნულება უცნობია.
- ბათუმის ნავთობის ტერმინალს სარეგულაციო და სამართლებრივი პრობლემების ისტორია გააჩნია, მათ შორის ბრალდებები, რომ 10 000 ტონაზე მეტი გაუფორმებელი ნედლი ნავთობი საბაჟოსადმი თავის არიდების სქემების გამოყენებით შეიტანა.

რეკომენდაციები

CREA-ს მიერ შემოთავაზებული ღონისძიებები მიზნად ისახავს სანქციების დამწესებელი ქვეყნების მიერ რუსული წარმომავლობის ნავთობპროდუქტების იმპორტის თავიდან აცილებას და გადამამუშავებელ ქარხნებსა და რეექსპორტის ტერმინალებში რუსულ ნედლ ნავთობზე დამოკიდებულების დონის შემცირებას.

- გაერთიანებული სამეფო, ევროკავშირი და აშშ ვალდებულნი არიან აკრძალონ ნავთობპროდუქტებისა და ნავთობქიმიური პროდუქტების იმპორტი იმ პორტებიდან, რომლებმაც წინა ექვსი თვის განმავლობაში მიიღეს რუსული ნედლი ნავთობი ან გადამუშავებული საწვავი.
- სანქციებმა ასევე უნდა აკრძალოს ნავთობპროდუქტებისა და ნავთობქიმიური პროდუქტების იმპორტი იმ პორტებიდან, რომელიც დაკავშირებულია რუსულ ნავთობზე მომუშავე ნავთობგადამამუშავებელ ქარხანასთან კავშირის მქონე მილსადენთან ან რკინიგზასთან.
- სანქციების სიები უნდა იყოს შეთანხმებული ევროკავშირს, გაერთიანებულ სამეფოსა და აშშ-ს შორის. ეს უნდა დაიწყოს ევროკავშირისა და აშშ-ის მიერ RussNeft-ის სანქცირებით - რუსული ნავთობკომპანია, რომელმაც ყულევის გადამამუშავებელ ქარხანას რუსული ნედლი ნავთობი რამდენჯერმე მიაწოდა.
- სანქციები უნდა გაფართოვდეს და მოიცვას როგორც კერძო საკუთრებაში არსებული RussNeft, ასევე სხვა კომპანიები, რომელიც დაკავშირებული არიან სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ რუსულ ნავთობმწარმოებლებთან, მაგალითად Rosneft-თან. RussNeft-მა ისარგებლა ხარვეზით, რომელიც მას სანქციების დამწესებელ ქვეყნებში სუბიექტებთან ოპერაციების გაგრძელების საშუალებას აძლევს, ვინაიდან ევროკავშირის სანქციების ქვეშ არის კომპანიის დამფუძნებელი მიხაილ გუცერიევი, და არა თავად კომპანია.

- ევროპულმა თაღლითობის საწინააღმდეგო ოფისმა და საგამოძიებო უწყებამ (OLAF) უნდა ჩაატაროს გამოძიება ბათუმის პორტისა და მასთან დაკავშირებულ კომპანიების შესახებ, რათა შეაგროვოს მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებს, ახდენს თუ არა პორტი ევროკავშირში რუსული ნავთობპროდუქტების უკანონო რეექსპორტს და არღვევს თუ არა სანქციებს. საკმარისი მტკიცებულებების მოპოვების შემთხვევაში ამას მნიშვნელოვანი ჯარიმები და მძიმე სამართლებრივი შედეგები უნდა მოჰყვეს, რაც სხვა ოპერატორებს ამ უკანონო ვაჭრობაში ჩართვის სურვილს გაუქარწყლებს.

მეთოდოლოგია

CREA იყენებს Kpler-ის და სამთავრობო წყაროების მონაცემებს ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების შესახებ, რათა შეაფასოს G7+ ქვეყნებში მესამე ქვეყნებიდან ექსპორტირებული, რუსული ნედლი ნავთობიდან წარმოებული ნავთობპროდუქტების ღირებულება და მოცულობა.

ვვარაუდობთ, რომ ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები ყველა შემომავალ ნედლ ნავთობს სრულად ურევენ, რათა აწარმოონ გადამუშავებული ნავთობპროდუქტები. თითოეული ქარხნისთვის, ვამრავლებთ მიღებული რუსული წარმოშობის ნედლი ნავთობის პროცენტულ მაჩვენებელს ქარხნიდან მიღებული მზა ნავთობპროდუქტების მთლიან მოცულობაზე. ეს გვაძლევს შესაძლებლობას, მივიჩნიოთ პროდუქტი რუსული ნედლი ნავთობისგან მიღებულად. მაგალითად, თუ ქარხნის მიერ მიღებული ნედლი ნავთობის 30% რუსული წარმოშობისაა და ქარხანას ექსპორტზე გააქვს 100 ტონა დიზელი, ვვარაუდობთ, რომ 30 ტონა დიზელი რუსული წარმოშობის ნედლი ნავთობიდანაა მიღებული.

CREA იყენებს Kpler-ის მონაცემებს ქარხნების მიერ რუსული ნედლი ნავთობის იმპორტის შესაფასებლად და იყენებს CREA-ს ფასების მოდელს რუსულ ნედლ ნავთობთან მიმართებაში.

CREA-ს მონაცემთა დამუშავების შესახებ მეთოდოლოგია სრულად იხილეთ ბმულზე.

ეს ფაქტ-შიტი ეყრდნობა CREA-ს სამუშაოს, რომელიც ეხება რუსული ნამარხი საწვავის ნაკადების თვალყურის დევნებას, რადგან ამ გზით ფინანსდება პუტინის ომი უკრაინის წინააღმდეგ.

მონაცემები და ანგარიში სრულად ამ ბმულზე დაგხვდებათ.

სუფთა ჰაერის ენერგიისა და კვლევის ცენტრი (CREA) არის დამოუკიდებელი კვლევითი ორგანიზაცია, რომელიც ორიენტირებულია ჰაერის დაბინძურების ტენდენციების, მიზეზებისა და ჯანმრთელობაზე ზემოქმედების, ასევე გადაწყვეტილებების გამოვლენაზე. CREA იყენებს სამეცნიერო მონაცემებს, კვლევებსა და მტკიცებულებებს მთავრობების, კომპანიების და

კამპანიის მწარმოებელი ორგანიზაციების მხარდასაჭერად მთელ მსოფლიოში სუფთა ენერგიასა და სუფთა ჰაერზე გადასვლისკენ მიმართულ მცდელობებში.

CREA პოლიტიკურად დამოუკიდებელია. ამ ანგარიშში შემავალ რუკებზე გამოყენებული აღნიშვნები და მასალის წარდგენა არ გულისხმობს რომელიმე ქვეყნის, ტერიტორიის, ქალაქის ან რაიონის, ან მათი ხელისუფლების სამართლებრივი სტატუსის, ან მათი საზღვრების თუ საზღვრების განსაზღვრასთან დაკავშირებული რაიმე მოსაზრების გამოხატვას.

დამატებითი ინფორმაცია: energyandcleanair.org